( □□□)

## საკუთარ თავთან მშვიდობის შესახებ ქადაგება

(11 ოქტომბერი 2020 წ.)

წინა ქადაგებაში ჩვენ ვამბობდით იმას, რომ მშვიდობის წყაროს წარმოადგენს ქრისტე-სამყაროს მთავარი. ვინაიდან მორწმუნე ქრისტიანები იმყოფებიან ამ უშრეტ წყაროსთან კავშირში, ისინი ჯილდოვდებიან ღვთის მშვიდობით, რომელიც განუწყვეტლივ ივანებს მათ გულებში. ,,და მშვიდობა იგი ღმრთისა განტკიცენინ გულთა შინა თქუენთა". (კოლ3:15).

მოციქული პავლე და ბიბლია მთლიანობაში რას გულისხმობს სიტყვა გულში? რა თქმა უნდა ისინი გულისხმობენ არა ფიზიკურ გულს, რომელიც სხეულში მდებარეობს, არამედ სულიერ გულს, რომელიც წარმოადგენს ფარულ მშვიდობას სულისას. სულიერი გული-ეს ფოკუზირებაა ადამიანური პიროვნების და ჩვენი არსებობის სწორედ მასში ვითარდება ადამიანის სულიერი ცხოვრება და სწორედ სულიერ გულში მორწმუნე წყვეტს შეხვედრას თავის შემქმნელებთან, ღმერთთან.

ყველას უნდა, რომ მის გულში სუფევდეს მშვიდობა და როგორც ყველამ ვიცით, იმისთვის, რომ ეს მშვიდობა გამეფდეს, უფალი მოვიდა დედამიწაზე. მის მოსვლამ მოგვიტანა ჩვენ ეს ნანატრი მშვიდობა. მაგრამ ყველა დიდი განძი შეიძლება გახარჯული იყოს, მათ შორის ძვირფასი განძი მშვიდობისაც. ეს შინაგანი შიში არაა, იმიტომ რომ საშინელი წამების დროსაც კი წმინდა მოწამეები ინარჩუნებდნენ მშვიდობას. საშიშროება შიგნიდან გამომდინარეობს. უფალი ამბობდა ამის შესახებ, რადგან მისი მშვიდობა არ შეიძლება არსებობდეს გულში მომაკვდინებულ ცოდვის სურვილთან ერთად. თუ ჩვენ ვამჟღავნებთ უდარდელობას და ნებას ვაძლევთ ცოდვას ჩვენში შემოვიდეს, უფლის მშვიდობა გვტოვებს.

ეს როგორ ხდება? პირველად მოდის ცდუნება და ის ჩვენი გულის კართან აკაკუნებს. ეს შეიძლება იყოს ცბიერი აზრი, არაკანონური სურვილი ან არასწორ საქციელი ჩადენის სურვილი. ადამიანური სინდისი, რომელიც სულიერ თვალს წარმოადგენს, ბოძებულს სული წმინდისაგან, ამჩნევს საფრთხეს და იცავს გულს ამ ცდუნებისაგან. თუ გულს ესმის სინდისის ხმა, იგი საფრთხისაგან დაცული იქნება. თუ ჩვენ აქტიურად შევეწინააღმდეგებით, მაშინ რამდენჯერაც არ უნდა მოგვიახლოვდნენ ცდუნებები, მშვიდობა დარჩება ჩვენს გულებში. თუ კი გული უარყოფს სინდისის ხმას და შემოუშვებს ცოსვას, მაშინ უფლის მშვიდობა ქრება.

მაგრამ ყველა იმედი დაკარგული არაა. ადამიანს შეუძლია ზურგი აქციოს თავის სულიერ არეულობას და შინაგან ბრძოლას და მიმართოს თავისი სული ქრისტესკენ. როდესაც ეს ხდება, გულში შეიძლება მშვიდობა დაბრუნდეს. ეს იმიტომაა

შესაძლებელი, რომ ქრისტე, რომელიც ,,მსოფლიო მეუფეს" წარმოადგენს, აჯილდოებს მონანიებულ მორწმუნეს თავისი მადლით, რათა შესაძლებელი იყოს

ცოდვიან ვნებებთან გამარჯვება. მაშინ ქრება შიში და ცოდვა ლუბება და ადამიანს უჩნდება ძალები, მოთმინება და მხნეობა წინ

აღუდგეს რთულ ცხოვრებისეულ მოვლენებს. ეს რწმენა და რწმენა

,,მსოფლიო ღმერთისა" ჩვენთანა; ის გვაძლევს თავდაჯერებულებას უსაფრთხოებაში და შინაგანი მშვიდობის მდგომარეობას. დაწყნარდებიან სული და სინდისი და მოხდება შერიგება საკუთარ თავთან. მომნანიებული ადამიანი არ იწუწუნებს თავის ,,არ გამართლებაზე" ან თავს შეიცოდებს, როგორც ზოგიერთები აკეთებენ მათი გულები სიხარულით აღსავსე იქნება და სხვა სული წმინდის ნაყოფებით აღსავსე ადამიანი, რომლის გულშიც მშვიდობაა, გრძნობს, რომ მისთვის ზეციური კარებია ღია. რომ ღმერთს ესმის მისი ლოცვები და რომ მოწყალე უფალი ასრულებს მის თხოვნას, რადგან ისინი შეთანხმებულები არიან ღვთიურ ნებასთან. მათ, ვისაც ეს მშვიდობა აქვს გულში, შეუძლიათ იგემონ ზეციური მეუფების ნეტარება.

ჩემო ძვირფასო ძმებო და დებო, სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს ყოველთვის შევინარჩუნოთ ქრისტეს მიერი მშვიდობა ჩვენს გულებში, ამიტომ ჩვენ ძალიან ყურადღებიანები უნდა ვიყოთ, რათა არ მივცეთ ნება ნებისმიერ ბოროტებას შემოიჭრან ჩვენს გულებში; ბოროტება, რომელსაც შეუძლია გაანადგუროს მშვიდობა. ამის მაგივრად, დაე ყოველი ფიქრი, სურვილი და ქმედება, რომლისკენაც მივისწრაფით, მიმართული იყოს ქრისტესმიერი მშვიდობის შესანარჩუნებლად ჩვენს შიგნით. აი რატომაა ჩვენს ვედრებაში სული წმინდის მიმართ ხშირად ვრთავთ თხოვნას მოგვმადლოს ეს ძვირფასი მადლი-მისი მშვიდობა; მადლი რომელიც მიუწვდომელია, როგორ წერს მოციქული პავლე: ,,და მშვიდობამან ღმრთისაგან, რომელი ჰმატს ყოველთა გონებათა, შეზღუდენინ გულნი თქუენნი და გო-ნებანი თქუენნი ქრისტე იესუს მიერ" (ფილიპ.4:7).

მინდა თხოვნით მოგმართოთ, რომ საღვრთო ლიტურღიის დროს (და ყველა სხვა ღვთის მსახურებისას) ყველა ჩვენგანმა განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ მოძღვრის ლოცვებს, რომელიც მშვოდობისკენაა მიმართული, იმის მაგივრად, რომ უგულისყუროდ ვუსმენდეთ, ნება მიეცით ამ თხოვნებს მშვიდობის მიმართ შეეხონ თქვენს გულებს. დაე ყოველ ჯვარზე თქვენი გუნება მობილიზებული იყოს მშვიდობისმიერ ლოცვაზე. როდესაც დიაკვანი ან მღვდელი მოგვიწოდებს ჩვენ: ,,ისევ და ისევ მშვიდობით უფლისა მიმართ ვილოცოთ", მოდით მოვისმინოთ ეს მოწოდება და განვაგდოთ ფიქრები, რომელიც იწვევს დაბნეულობასა და შფოთს, და მიუძღვნათ თავი იმას, რაც მიმდინარეობს ამ წმინდა დროს უფალ ღმერთთან ქედის

მოხრა. როდესაც მღვდელი გვაკურთხებს ჩვენ სიტყვით ,,მშვიდობა ყოველთა", მოდით ნებამორჩილი თავის დახრით მივიღოთ ეს კურთხევა, როგორც თავად იესო ქრისტესგან, მომცემულისას

ამ კურთხევასა მშვიდობაზე. დაე, ყოველ დღე თითოეულ ჩვენგანმა ლოცვაში: მიმართოს თხოვნით ,,უფალო მოგვმადლე მშვიდობა" (ამინ. 26:12 ის.).